საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დელეგაციის
ოფიციალური ვიზიტი დანიის სამეფოში

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დელეგაცია 2022 წლის 4 – 7 მაისს ოფიციალური ვიზიტით დანიის სამეფოში იმყოფებოდა. დელეგაციას ხელმძღვანელობდა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, ნიკოლოზ სამხარაძე. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, დავით ზილფიმიანი; კომიტეტის წევრი, გივი მიქანაძე და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის აპარატის უფროსი, ნიკოლოზ ხატიაშვილი.

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დელეგაციამ შეხვედრა გამართა დანიის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე, ბერტელ ჰორდერთან და საგარეო საქმეთა, საგარეო პოლიტიკის და ევროპულ საქმეთა კომიტეტების წევრებთან. შეხვედრის მთავარ თემას წარმოადგენდა საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობაზე გაკეთებული განაცხადი, ნატო-ს მადრიდის სამიტის მოლოდინები, რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ და რეგიონში არსებული უსაფრთხოების გამოწვევები.

ნიკოლოზ სამხარაძემ დანიურ მხარეს მიაწოდა ინფორმაცია ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციის პროცესში, საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმების, ოკუპირებულ რეგიონებში არსებული რთული ვითარების და საქართველოს მიერ უკრაინისთვის გაწეული მხარდაჭერის შესახებ. მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ნატო-ს მადრიდის სამიტზე და ქართულ დელეგაციას აღუთქვეს მხარდაჭერა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების გზაზე, აგრეთვე ევროკავშირში გაკეთებულ განაცხადზე. დანიელმა კანონმდებლებმა კვლავ დაადასტურეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ ერთგულება. მხარეები შეთანხმდნენ, რომ გააგრძელებენ თანამშრომლობას საერთაშორისო ფორმატებში და გააძლიერებენ ორმხრივ საპარლამენტო კავშირებს.

ვიზიტის ფარგლებში, ნიკოლოზ სამხარაძემ და დელეგაციის წევრებმა გამართეს შეხვედრები დანიის საერთაშორისო სწავლების ინსტიტუტის ხელმძღვანელთან, კრისტიან ფიშერთან და ინსტიტუტის მკვლევარებთან და დანიის სამეფო თავდაცვის კოლეჯის კვლევითი ცენტრის დირექტორთან, ჰენრიკ ბრაიტენბაუხთან. შეხვედრებზე განხილული იყო შავი ზღვის რეგიონში არსებული უსაფრთხოების გამოწვევები, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მძიმე ვითარება, საქართველოს როლი ევროპის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცების პროცესში, ომი უკრაინის წინააღმდეგ და სხვა მიმართულებები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ნატო-ს გაფართოებაზე და საქართველოს მოლოდინებზე. დანიელმა მკვლევარებმა აღნიშნეს საქართველოს, როგორც ნატო-ს მნიშვნელოვანი პარტნიორის უდიდესი წვლილი გლობალური უსაფრთხოების ხელშეწყობაში და დაინტერესდნენ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური და მმართველობის რეფორმებით.

ნიკოლოზ სამხარაძემ და დელეგაციის წევრებმა, ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრა გამართეს დანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, ლოტე მაქონთან და სამინისტროს პოლიტიკურ დირექტორთან, კრისტინა მარკუს ლასენთან. შეხვედრებზე მხარეებმა განიხილეს რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესია უკრაინაში, შავი ზღვის რეგიონში

არსებული ვითარება და ნატო-ს მადრიდის სამიტზე საქართველოს მხარდაჭერის საკითხი. ყურადღება გამახვილდა ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ განხორციელებულ რეფორმებზე და საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობაზე.

დელეგაციის წევრებმა დანიურ მხარეს მიაწოდეს ინფორმაცია განხორციელებულ დემოკრატიულ რეფორმებზე, მათ შორის კარგი მმართველობის, მედია თავისუფლების, ეკონომიკური განვითარების, კორუფციასთან ბრძოლის, გამჭვირვალობის და კანონის უზენაესობის მიმართულებით. განსაკუთრებული ხაზი გაესვა საქართველოში, დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტების მნიშვნელობას ქვეყნის მდგრადი განვითარების პროცესში.

შეხვედრის ბოლოს მხარეებმა განიხილეს დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს პარლამენტს შორის შესაძლო თანამშრომლობის საკითხები, რომელიც მოიცავს გარემოს დაცვას, ენერგეტიკას, გენდერს და შეთანხმდნენ, რომ გააგრძელებენ მუშაობას კონკრეტული პროექტების განსახორციელებლად.

ნიკოლოზ სამხარაძემ პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარესთან, დანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან და სამინისტროს პოლიტიკურ დირექტორთან შეხვედრებზე ხაზი გაუსვა საქართველოში დანიის საელჩოს გახსნის საკითხს.

(ცნობისთვის: 2022 წლის 20 მაისს დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველოში დანიის საელჩო გაიხსნება).

დანიის სამეფოში, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დელეგაციის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, ნიკოლოზ სამხარაძემ ქალაქ ოდენსეში, სამხრეთ დანიის უნივერსიტეტის ომის სწავლებათა ცენტრში საჯარო ლექცია წაიკითხა.

თავის გამოსვლაში, ნიკოლოზ სამხარაძემ მკვლევარებს გააცნო საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები და მიმოიხილა რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული აგრესია, რეგიონული გამოწვევები, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოების და მასში საქართველოს გაწევრიანების მნიშვნელობა, საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობაზე გაკეთებული განაცხადი და ქვეყანაში გატარებული რეფორმები.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაზე, როგორც ევროპული უსაფრთხოების გამოწვევაზე, არაღიარების პოლიტიკის მნიშვნელობაზე და კონფლიქტის გადაჭრის მშვიდობიან გზებზე. გამოსვლის შემდეგ გამართული დისკუსიისას მკლევარებმა ხაზი გაუსვეს საქართველოს მნიშვნელოვან როლს შავი ზღვის უსაფრთხოებაში, ასევე ევროპის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებაში, როგორც ქვეყანას, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს ევროპას რუსეთის გვერდის ავლით ალტერნატიული ენერგორესურსების მიწოდებაში.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით მადრიდის სამიტის წინ, დანიაში, როგორც ნატო-ს დამფუძნებელ ქვეყანაში, ვიზიტს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა. მისი განცხადებით მათ ჰქონდათ შესაძლებლობა შეხვედროდნენ დანიელ კანონმდებლებს, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს და დანიის

გავლენიანი კვლევითი ცენტრების ხელმძღვანელებს, რომლებსაც გააცნეს მათ ხედვები რეგიონში არსებულ რთულ ვითარებაზე და სამიტთან დაკავშირებით მოლოდინებზე.